*მედ დიაგნოსტიკის მიერ დასაქმების მსურველებისა და კანდიდატების პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ კონფიდენციალურობის შეტყობინება*

**რა ინფორმაციას ვამუშავებთ თქვენს შესახებ?**

თქვენს შესახებ ჩვენ შეიძლება დავამუშაოთ შემდეგი სახის პერსონალური მონაცემები:

- **მაიდენტიფიცირებელი მონაცემები** - სახელი და გვარი; პირადი ნომერი, დაბადების თარიღი;
- **საკონტაქტო ინფორმაცია** - მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;
- **განათლების შესახებ ინფორმაცია** - კანდიდატის მიერ მიღებული განათლების (უმაღლესი, პროფესიული ზოგადი განათლების) და განვლილი პროფესიული მომზადების/გადამზადების კურსების, ასევე, მიღებული სერტიფიკატების შესახებ ინფორმაცია;
- **სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია** - კანდიდატის მიერ განაცხადის შემოტანამდე დაკავებული თანამდებობისა და სამსახურის დასახელება;
- **პროფესიული საქმიანობის უფლების შესახებ ინფორმაცია** - თუ პროფესიული საქმიანობისთვის კანონმდებლობით სავალდებულოა ლიცენზიის არსებობა;
- **კანდიდატის შემოწმებისა და შეფასების პროცესში დამუშავებული ინფორმაცია** - კანდიდატის სამოტივაციო წერილი, წერითი დავალების ან გასაუბრების შედეგები, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა (მაგალითად, რენდგენის სპეციალისტი) და სხვა.

**რა მიზნით ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?**

ჩვენ მიერ თქვენი მონაცემთა დამუშავების მიზანია ადამიანური რესურსების შერჩევა და დაქირავება.

**რა სამართლებრივი საფუძვლებით ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?**

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ჩვენ ვეყრდნობით შემდეგ სამართლებრივ საფუძველს:

- მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დადება.

რაც შეეხება **<u>განსაკუთრებული კატეგორიის[1] ინფორმაციას,</u>** მათი დამუშავებისას ჩვენ ვეყრდნობით შემდეგ სამართლებრივ საფუძველს:

- მონაცემთა დამუშავება საჭიროა შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად.

**სავალდებულოა თუ არა ჩვენთვის მონაცემთა მოწოდება?**

იმისთვის, რომ შევძლოთ თქვენი გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის შეფასება და შესაბამისობის დადგენა ჩვენს მოთხოვნებთან, აუცილებელია თქვენ მიერ ინფორმაციის

[1] განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი არის მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით (აღნიშნული არ არის ამომწურავი განმარტება).

მოწოდება. აღნიშნული ინფორმაციის მოწოდების გარეშე მედ დიაგნოსტიკა ვერ უზრუნველყოფს თქვენს შეფასებასა და შესაბამისად, თქვენთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას.

**ვის შეიძლება ჰქონდეს წვდომა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე?**

ჩვენს მიერ დამუშავებულ თქვენს მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, ვინც საჭიროა ადამიანური რესურსების შერჩევის პროცესში. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ:

- **ჩვენი თანამშრომლები** - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და სხვა;
- **მესამე პირები,** კერძოდ: კომპანიისთვის მომსახურების გამწევი პირები (მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მომსახურების და სხვა).

**გადავცემთ თუ არა თქვენს პერსონალურ მონაცემებს სხვა ქვეყნებს?**

ჩვენ მიერ არ ხდება თქვენი პერსონალური მონაცემების საერთაშორისო გადაცემა. ამასთან, თუ კლინიკას დაუდგება აღნიშნულის საჭიროება, ჩვენ მიერ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა განხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

**ვიყენებთ თუ არა მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების (მათ შორის პროფაილინგის) პრაქტიკას თქვენ მიმართ გადაწყვეტილებების მისაღებად?**

ჩვენ მიერ არ ხდება თქვენი მონაცემების ავტომატიზებული დამუშავება და შედეგად რაიმე ტიპის გადაწყვეტილების მიღება.

**რა ვადით ვინახავთ თქვენს მონაცემებს?**

- კომპანია **იმ დასაქმების მსურველებისა და კანდიდატების შესახებ ინფორმაციას, რომელთა მიმართაც არ იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება,** ინახავს შესაბამის ვაკანსიაზე კანდიდატის დასაქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 6 თვის ვადით.
- თანამშრომლების მონაცემების შენახვის ვადები განისაზღვრება თანამშრომელთა მონაცემთა დამუშავების პოლიტიკით, რომელიც გაგეცნობათ შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში.

**როგორ ვზრუნავთ თქვენი მონაცემების უსაფრთხოებაზე?**

თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვისა და უსაფრთხო დამუშავებისთვის, ჩვენ ვიყენებთ მონაცემთა უსაფრთხოების ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, კერძოდ:

- **ტექნიკური ზომები** - ჩვენ ვიყენებთ მონაცემთა დაშიფვრის შესაბამის პროტოკოლებს, უზრუნველვყოფთ მონაცემთა წვდომაზე კონტროლს, რაც გულისხმობს, რომ მხოლოდ ავტორიზებულ მომხმარებლებს ჰქონდეთ თქვენი მონაცემების დამუშავების უფლებამოსილება, ასევე, აღვრიცხავთ თქვენს მონაცემებზე წვდომის შემთხვევებსა და სხვა.
- **ორგანიზაციული ზომები** - ტექნიკური ზომების ეფექტიანი დანერგვისთვის და მონაცემთა უსაფრთხოებისთვის ჩვენ შემუშავებული გვაქვს და ვნერგავთ მონაცემთა კანონიერ და უსაფრთხო დამუშავებასთან დაკავშირებულ პოლიტიკის დოკუმენტებს, წესებსა და პროცედურებს.
- **ტრენინგები და ცნობიერების ამაღლება** - ჩვენ ვზრუნავთ, რომ ჩვენი თანამშრომლები მუდმივად ინფორმირებული იყვნენ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებზე და სერიოზულად მოეკიდონ თქვენი მონაცემთა დამუშავების თითოეულ შემთხვევას.

## რა უფლებები გაქვთ თქვენს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით?

თქვენ, როგორც მონაცემთა სუბიექტს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაქვთ შემდეგი უფლებები:

- **მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება** - თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს მოითხოვოთ ჩვენგან იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა თქვენ შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოთ შემდეგი ინფორმაცია: რა მონაცემებს ვამუშავებთ თქვენს შესახებ, ამ მონაცემების დამუშავების საფუძვლები და მიზნები; მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყარო; მონაცემთა შენახვის ვადა ან ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები; თქვენი უფლებები; მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლები და მიზნები, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს; მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიები, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა; ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე.
- **მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება** - თქვენი მომართვის შემთხვევაში ჩვენ უზრუნველვყოფთ ადგილზე გაგაცნოთ ჩვენ მიერ დამუშავებული თქვენი პერსონალურ მონაცემების შესახებ ინფორმაცია და უსასყიდლოდ გადმოგცეთ მათი ასლები.
- **მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება** - თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მოითხოვოთ თქვენ შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.
- **მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება** - თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს მოითხოვოთ, რომ მედ დიაგნოსტიკამ შეწყვიტოს თქვენ შესახებ მონაცემთა დამუშავება, წაშალოს ან გაანადგუროს თქვენი მონაცემები. ამ შემთხვევაში, თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება შეწყდება ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშლება/განადგურდება, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ იარსებებს.
- **მონაცემთა დაბლოკვის უფლება** - თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება: სადავოდ ხდით მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს; მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა წინააღმდეგი ხართ მათი წაშლის და ითხოვთ მონაცემთა დაბლოკვას; მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა თქვენ ისინი გჭირდებათ საჩივრის/სარჩელის წარსადგენად; თქვენ მოითხოვთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა; არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.
- **მონაცემთა გადატანის უფლება** - თქვენ უფლება გაქვთ სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოთ თქვენ მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოთ ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა, თუკი აღნიშნული ტექნიკურად შესაძლებელია.

- **თანხმობის გამოხმობის უფლება** - თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოთ თქვენ მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება შეწყდება ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშლება/განადგურდება, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ იარსებებს.
- **გასაჩივრების უფლება** - თქვენ უფლება გაქვთ თქვენი უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

**ვის უნდა მიმართოთ თქვენი უფლებების რეალიზების მიზნით?**

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული კითხვების ან თქვენი უფლებების რეალიზების მიზნით, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს:

- შპს ქომფლიფაისი - complipise@gmail.com; ტელ.: 598080108.

*მადლობას გიხდით ნდობისთვის, ჩვენ ვაფასებთ თქვენს ნდობას და სრული პასუხისმგებლობით ვეკიდებით თქვენი პერსონალური მონაცემების კანონიერ დამუშავებას.*